ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21
2018 წლის 27 მარტი

დაბა ლენტეხი

,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" (www.matsne.gov.ge 06.02.2018 წ. 010250020.35.115.016256) ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 -იანვრის №14 დადგენილების დანართში შემდეგის მიხედვით:

1. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 5. შშმ პირთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ ლენტეხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იმ ბენეფიციარებს, რომლებიც დაავადებული არიან:

ა) ეპილეფსიით;

ბ) პარკინსონით;

გ) თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლით დაავადებული პაციენტი, მძიმე ფორმის იშემიური და ჰემორაგიული ინსულტი;

დ) შაქრიანი დიაბეტით – ტიპი 1 , მძიმე მიმდინარეობით – გართულებები მხედველობის, გულის, თირკმლის, ტვინის სისხლძარღვების ანგიოპათიით;

ე) ღვიძლის ციროზი, ასციტი;

ვ) ონკოლოგიური დაავადებები მე-3, მე-4 კლინიკური ჯგუფი. ქიმიო თერაპიის და სხივური თერაპიის პერიოდი (ფორმა 100 ონკოცენტრიდან შევსებული ონკოლოგის მიერ);

ზ) ცერებრალური დამბლა და პარალიზებული სინდრომებით დაავადებული პაციენტები;

თ) გულის იშემიური დაავადებები (გულის უკმარისობა მე-2, მე-3 ხარისხი);

ი) სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებები, სუნთქვის უკმარისობა მე-2 ხარისხით;

კ) თირკმლის დაავადებები მძიმე მიმდინარეობით, თირკმლის ქრონიკული უკმარისობით მე-3, მე-4 სტადია;

ლ) უსინათლო ინვალიდები;

მ) შიზოფრენია.

2. ოჯახს დახმარება გაეწევა ერთჯერადად, მაგრამ არაუმეტეს 100-დან 200 ლარამდე, აღნიშნულ დაავადებათა შემთხვევაში, თუ სამედიცინო ფორმა 100/ა შევსებულია სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში.

3. დახმარების მიმღებმა (ბენეფიციარმა) ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) დიაგნოსტიკური კვლევის დოკუმენტაცია და მის საუძველზე შექმნილი ფორმა 100/ა, გაცემიდან 6 თვის ვადაში.

დ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

ე) ადმინისტრაციულ ერთეულში წარმომადგენლის ცნობა ოჯახის შემადგენლობასა და სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ;

ვ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, გარდა იმ სტუდენტებისა რომელთაც დროებით შეწყვეტილი აქვთ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი“.

2. სოციალური დახმარების გაცემის წესს დაემატოს 13^1 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი13^1“. 80-წელს გადაცილებულ და მარტოხელა ბენეფიციარებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება

1.ამ მუხლით გათვალისწინებული ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ:

ა) ლენტეხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 80 წელს გადაცილებულ პარალიზებულ ბენეფიციარებს;

ბ) მარტოხელა ბენეფიციარებს, რომელთაც მემკვიდრე არ ჰყავთ.

2. ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ერთჯერადად, მაგრამ არაუმეტეს 100 -დან 200 ლარამდე.

3. დახმარების მიმღებმა (ბენეფიციარმა), მისი ოჯახის წევრმა ან მისმა წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ფორმა 100/ა ;

დ) განმცხადებლის (წარმომადგენლის) საბანკო ანგარიში;

ე) მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის და მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი;

ვ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი გაზდელიანი**